ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N09

2024 წლის 31 იანვარი
ქ. ამბროლაური

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის კულტურის ცენტრის“ დირექტორის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის კულტურის ცენტრის“ დირექტორის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირი

ამბროლაურის კულტურის ცენტრი

ამბროლაური თამარ მეფისქუჩა №1 მობ.555-32-52-22

N2 05.01.2024 წელი

ამბროლაურისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ასლან საგანელიძეს

ბატონო ასლან,

გეგზავნებათ ანგარიში ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ცენტრის დირექტორი: Tamaz Daushvili 01016000880 Digitally signed by Tamaz Daushvili Date: 2024.01.05 14:45:01 /თ.დაუშვილი/

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW AMBROLAURI CULTURAL CENTER 422990357

კულტურის სახლი

1. 5 იანვარი – ანსამბლი "იავნანას "ჩაწერა , რუსთავი 2 ს სატელევიზიო გადაცემაში "რაჭის ახალი წელი ".

2.26 იანვარი – ანსამბლ "იავნანას" მონაწილეობა ქ. თბილისში , ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნინო რეხვიაშვილის წიგნის პრეზენტაციაზე.

3.2 მარტი – ანსამბლ "იავნანას" მონაწილეობა ქ.თბილისში , იმედის არხის სატელევიზიო გადაცემაში, " ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად "

4. 13 აპრილი –სახალხო თეატრის პრემიერა"ბოსტანი კონფლიქტის ზონაში "

5. 11 მაისი – მზია ფარულავას შემოქმედებითი საღამო.

6.26 მაისი – საქ. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება:მონაწილეობდნენ –სახ.ანსამბლ "საგალობელი", ქალთა ანსამბლი "იავნანა".

7. მაისი – ანსამბლ "საგალობელის" მონაწილეობა ფოლკლორის ცენტრის ღონისძიებაში – " რაჭული ცეკვის მასტერკლასი".

8. 22 მაისი– სახალხო თეატრის გასტროლი ახალციხეში,მესხეთის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობ სპექტაკლით "ბოსტანი კონფლიქტის ზონაში".

9. 8 ივნისი – სახალხო თეატრი სიღნაღის თეატრალურ ფეტივალზე სპექტაკლით "ბოსტანი კონფლიქტის ზონაში ".

10.18 ივლისი – კულტ.სახლის შემოქმედებითი ჯგუფის კონცერტი "სული ქართული" ცაგერის კულტურის სახლში.

11. 19 ივლისი – სახალხო თეატრის გასტროლი ზესტაფონის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლით " ბოსტანი კონფლიქტის ზონაში".

12.25 ოქტომბერი – სპექტაკლის პრემიერა „ ჯერ დაიხოცნენ , მერე იქორწინეს ".

13.27 ოქტომბერი – რუსთაველის ეროვნულ თეატრში ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „ ბოსტანი კონფლიქტის ზონაში.

14. 31 ოქტომბერი – სპექტაკლის, „ჯერ დაიხოცნენ , მერე იქორწინეს", ჩვენება პატარებისათვის.

15.8 დეკემბერი – თოჯინების თეატრი სპექტაკლით „მელაკუდას თავგადასავალი“.

16.28 დეკემბერი – სოფელ ჭრებალოში გაიმართა წინასაახალწლო კონცერტი , მონაწილეობდა ამბროლაურის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფი.

17.29 დეკემბერი – საბავშვო თეატრი წარსდგა ამბროლაურის მაყურებლის წინაშე , სპექტაკლის პრემიერით „სხვისი ორმოს მთხრელმა თავისი მოთხარაო“.

18.30 დეკემბერი – კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფის წინასაახალწლო კონცერტში მონაწილეობის მიღება .

საბიბლიოთეკო სამსახური

წიგნობრივი ფონდი შეადგენს 80222 ცალ წიგნს. წლის განმავლობაში მივიღეთ 366 ცალი ახალი წიგნი.

ბიბლიოთეკა მოემსახურა 3100მკითხველს, გასცა 21680 ცალი წიგნი.

გასცა წერილობთი და ზეპირი ცნობები:

უძველესი ცივილიზაციები და გამორჩეული ფიგურები.

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალები.

საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები ა.შ

ჩატარებული ღონისძიებები:

პოეტ ზურაბ ჯაფარიძის საღამო -გახსენება.

5 თებერვალი - წიგნის კითხვის მსოფლიო დღე.

მარტი - შეხვედრა ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველებთან: ,,ღირსეული მამაკაცები"

,,ავიმაღლოთ ინტელექტი''

ბენეფისი ,,ამბები ჩემზე" შეხვედრა პედაგოგ მაია დგვარელთან.

გურამ ფანჯიკიძე - 90 წელი.

საბიბლიოთეკო კვირეული:

ა)საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა, სამუშაოშეხვედრა და ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა - მთავარი ბიბლიოთეკა.

ბ) ,,პოეზიის დედოფალი"' ანა კალანდაძე - წესის ბიბლიოთეკა.

გ),,დრო სიყვარულმა გალია"-ლიტერატურული საღამო - სადმელი, ჩორჯო, ბოსტანა, ზნაკვა.

დ) ,,მომავალი ჩვენია'' - ლიტერატურული საღამო - ხვანჭკარა, პირველი ტოლა, მეორე ტოლა.

ე) 10 კითხვა საქართველოს შესახებ -ლიტერატურული კონკურსი - აბანოეთი, ბუგეული.

ვ) ,,ვიცნობდეთ ჩვენს მხარეს" აბარი, ლიხეთი.

ზ) 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - ჟოშხა.

თ) პოეზიის საღამო ,,პაწაწინა რტო ვარ" - ღადიში, პატარა ონი.

ი)შეხვედრა ღვაწლმოსილ მკითხველებთან- ნიკორწმინდა, კაჩაეთი, უყეში, ხოტევი, ჭელიაღელე.

კ) ვაჟა ფშაველას შემოქმედებითი საღამო - ჭრებალო, ქვიშარი, ჭყვიში

,,მზიანი გულის კაცი" - ნოდარ დუმბაძის გახსენება.

ახალი წიგნის პრეზენტაცია ,,მაისურაძეთა გვარის მატიანე" - ბადრი მაისურაძე.

თეიმურაზ ფანჯიკიძის წიგნის ,,გუჯია" - პრეზენტაცია.

ჯანო გაგოშიძის ლექცია - ,,საქართველო უცხოურ ლიტერატურაში".

ამერიკის საელჩოს პროგრამა ,,საზაფხულო გამოწვევა კითხვაში - 2023"

ა.გამარჯვებული ბავშვების დაჯილდოება.

ბ.ლიდერი გოგონები.

გ. ანა ბათხაძის ნამუშევრების გამოფენა.

,,მწიგნობარი რაჭაში -2023."

კულტურის ცენტრისა და ვაუჩერიზაციის პროექტის ფარგლებში შეძენილი წიგნების პრეზენტაცია.

საბავშვო ბიბლიოთეკა

1.საახალწლო ღონისძიება: ,,მშვიდობა და სიყვარული მზის კოცონად ენთოს მარად“

2.,,შეუქმნია რაით ქართველს“ - ნიკორწმინდა

3.14 აპრილი დედაენის დღე: ,, ენაი შემკული და კურთხეული“

4.საბიბლიოთეკო კვირეული: ,,მოვიარე საქართველო“

5.1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე: ,,ბავშვები სიცოცხლის ყვავილები არიან“

6.ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით,საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება: ,,გიყვარდეს წიგნი....ცოდნის სანატრელ გზით რომ გვატარებს“. ღონისძიებაზე ასევე გამოფენილი იყო ბიბლიოთეკის თანამშრომლის ნინო ლომთაძის ნამუშევრები

7. ოქტომბერი –მწიგნობარი რაჭაში 2023

საუკეთესო თანამშრომლობისთვის ჯილდო გადაეცა საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს მარინა მახალდიანს.

8. ნოემბერი– კამპამპანიის მოკლე ანგარიში, პროექტ ,,დროს დაწეული რაჭვეული ქალები“

30 ნოემბერი –საბაშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება: ,, დედამიწის სიყვითლე შემოდგომის ბრალია.“

9.დეკემბერი– წიგნობრივი ფონდი შეივსო ამბროლაურის მერიის, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით,ამერიკის საელჩოსა და ფონდ ,,არველაძის მხარდაჭერით.“

მკითხველი –570

გაცემა –5630

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური

ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა–პატრონობის ფარგლებში. ფიქსაცია – აღრიცხვის მიზნით, მიმდინარე წლის განმავლობაში მოეწყო გასვლები სხვადასხვა სოფლებში: წესი, ხიდიკრის კლდეკარი, ხიმში, ბუგეული, საკეცია, კვირიკეწმინდა,ჭელიში, ველევი, სხვავა, ლაბეჭინა, კლდისუბანი.

წესის, მუხლის, ხიმშის, ხიდიკრის კლდეკარის მიმართულებით ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, მუხლის ხიდზე შემორჩენილი ძველი ბურჯის დაფიქსირება, სრული სურათის აღწერა, მოსახლეობაში ხიდზე არსებული ისტორიის მოძიება. კომპლექსში დავაფიქსირეთ, ცნობილი ,, სორის ხიდი", ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტი. ასევე იმსახურებს ყურადღებას რაჭის ისტორიის საუკეთესო მაგალითი ,,ქვისჭური".

განვახორციელეთ მინდა ციხის ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირება, სხვადასხვა ხედებით, რომლებიც შევადარეთ წინაწლების ფოტოებს, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია, გააქტიურებულია ქვისცვენა, ობიექზე დაუშვებელია ტურისტების დაშვება, აუცილებელია ქვის ცვენის მიმანიშნებელი აბრის განთავსება. ციხის შიდა ტერიტორია და მისასვლელი გზა თითქმის დაფარულია მცენარეული საფარით. წლების მატებასთან ერთად ციხის საერთო ხედის შეცვლა თვალში საცემია. მინდაციხის მშვენიერი ხედები ფონზე, მიმდებარედ , საოცარი ეთნოგრაფიული მასალები - რაჭული საცხოვრისი, ხის სახლები თავისი დამხმარე ნაგებობებით დავაფიქსირეთ.

ისტორიული ბარაკონის მიდამოებში, ერისთავების კარის ეკლესიის ტერიტორია გასასუფთავებელია მცენარეული საფარისაგან, ახლა განსაკუთრებით, აუცილებელია მოძიებული იქნას მესტამბეთა საფლავის ქვები. ტაძრის სრული რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მოსამზადებელია მასალები, ეს ისტორიული ადგილი რომ ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსისმატარებელი გახდეს.

ჩვენი დაკვირვებით ხიდიკრის კლდეკარის - ორიციხის, ფიზიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, განსაკუთრებით ეტყობა გასული მძიმე ზამთრის შედეგები, უფრომეტიც, შეიძლება ველარ გაუძლოს კლიმატურ ცვლილებებს და კედლები ჩამოიშალოს. ძეგლზე დაზიანებები საგრძნობლად მომატებულია: გააქტიურებულია ქვის ცვენა, ობიექტზე დაუშვებელია ტურისტების დაშვება, კედლებთან შეხება, ფოტოს გადაღება.

ციხის მიმდებარედ მიმოფანტულია არქეოლოგიური მასალა, სასწრაფოდ საჭიროებს არქეოლოგების ჩართვას, არეალის გამოკვლევა, სადაც არსებული მდგომარეობით და სხვადასხვა ვერსიების მიხედვით, ერთობ საინტერესო საუდუმლოებას შეიძლება აეხადოს ფარდა, რომელიც საუკუნეთა გრძელ გზაზე მოქცეულია მიწისქვეშეთში.

(ამბროლაური ერთადერთი რეგიონია სადაც არქეოლოგიური გათხრები არასოდეს ჩატარებულა).

- ბუგეულის, საკეციის მიმართულებით. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა საკეციის ეკლესიის ეზოში გაფანტული ძველი ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვების მოძიება, თავმოყრა და უსაფრთხო ადგილზე განთავსება.

ისტორიული ბუგეულის ტერიტორიაზე შევხვდით მოსახლეობას , ჩავიწერეთ საინტერესო ისტორიები, სამწუხაროდ ვერ მივაკვლიეთ დავაგვიანეთ, ეთნოგრაფიულ ნივთს. მოსახლეობაში მას ,,ქვის ღვინის წბერს" ეძახიან. ამიტომ აუცილებელია სამსახურის ხშირი ვიზიტები ისტორიულ ადგილებში.

დავაფიქრსირეთ, უკვე სამუზეუმო ექსპონატებათ ქცეული საოცარი ეთნოგრაფიული მასალები - რაჭული საცხოვრისი, ხის სახლები თავისი დამხმარე ნაგებობებით. ბუგეულის ძველი ხიდის ბურჯები, საუკუნის წინანდელი შენობა ნაგებობანი: სოფლის მაღაზია, ფოსტა, კულტურის სახლი, სამკურნალო წყლების ყოფილი აბანო.

ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესია მოქმედია , მიმდინარეობს მსახურება, საჭიროებს სპეციალისტების მოწვევას - სამხრეთის მინაშენის კედელი დაშლილია. დაკარგვის საფრთხის წინაშეა. კვირიკეწმინდის ამ მიმართულებით ჩვენს მიზანს წარმოადგენდა წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას სახელობის ეკლესიის მონახულება, ეკლესია აღდგენილია. ეზოში გაფანტული გაფანტულია საფლავის ქვების საუკეთესო ნიმუშები. მოვახდინეთ მათი ფიქსაცია.

ჩვენს მიერ დათვალიერებული იქნა იმავე ტერიტორიაზე კვიტაშვილების ციხე, რომელიც ძლიერ დაზიანებულია.

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვავას ტერიტორიაზე, სოფლების სხვავა-შხივანას დამაკავშირებელ გზაზე, ჭალისწყლის ხეობაში აღმართულია ქვის თაღოვანი ხიდი

ამჟამად ქვის ხიდის თავზე დამონტაჟებულია ახალი, რკინის ხიდი, ქვის ხიდის დიდი ნაწილი გარემოცულია ხშირი ხე-მცენარეებით და მის ზედაპირზე ამოსული სუროებისგან წარმოქმნილია მცენარეული საფარველი, რომელიც ხიდის ორივე მხარეს მთელ სიმაღლეზე ფარდასავით ეშვება. ქვის ხიდი თითქმის აღარც ჩანს. ზოგ ადგილებში ჩამოცვენილია კამარის ქვის წყობა . მისასვლელი გზა დაზიანებულია, ჩამოშლილია, დამეწყრილია გარკვეული ნაწილი. გასასუთავებელია მცენარეული საფარისაგან.

ზემო კრიხი მთავაანგელოზის ეკლესიის პრობლემები ისევ პრობლემებათ რჩება...ტაძრის სახურავზე დევს მოტეხილი ცაცხვის ხის დიდი ტოტი(სახურავზე რა

მდგომარეობაა არ ვიცით).სამხრეთ დასავლეთის მხრიდან სახურავიდან ტაძარში ჩამოდის წყალი. კედლებიდან ცვივა ფრესკები.

მთავარანგელოზის ეკლესიის ტერიტორიაზე , დამხმარე ნაგებობაში, განლაგებულია ტაძრის ჩუქურთმიანი ქვები და ფრეკების ნაწილი. წლებია, შენობა დაზიანებულია და საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. საფრთხის გამო აუცილებელია საჭირო ღონისძიების გატარება.

- 04.09. სამსახურმა მოინახულა ,,მაჩაბლის კოშკი" ქ. ამბროლაურში. კოშკზე 2007– 08 წლებში, განხორციელებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები: (სპეციალური აპარატურით შემოწმებული იქნა კოშკის საძირკველი, რკინის კონსტრუქციით გამაგრდა ნაგებობა, განხორციელდა გადახურვა).
- ამჟამინდელი მდგომარეობით დამთვალიერებლებისათვის საფრთხეს წარმოადგენს კოშკზე ასასვლელი გარე კიბე. სასწრაფოდ განსახორციელებელია კიბის დემონტაჟი – ამკრძალავი დაფის დადგმა. დაზიანებულია შესასვლელი კარის თავზე არსებული დიდი ქვა. კოშკის კედლები საჭიროებს გამაგრებას, ინრერიერში, არსებული ქვის ჭერიდან შეინიშნება ქვის ცვენა.ზოგადად კოშკის შიდა სიცრცეში გადადგილება საფრთხის შემცველია.
- 15.08 განვახორციელეთ გასვლითი სამუშაოები სოფელი ჭყვიშის მიმართულებით.: კერძოდ, სოფლის ტერიტორიაზე არსებული ლაბეჭინის მთავარანგელოზის ეკლესის მონახულება დაფიქსირება. ტაძარზე არსებული პრობლემები ისევ პრობლემებად რჩება: ჩრდილოეთის მხარეს აუცილებელია კარის ჩასმა. მოსაწესრიგებელია ეკლესიის იატაკი. მოსახლეობა ითხოვს ტაძარში დღესასწაულის დღეებში წირვის ჩატარებას. მოსაწესრიგებელია მოსახლეობის მიერ შეწირული ხატების განთავსების საკითხი. აუცილებელია მისი შემოგარენის - როგორც არქეოლოგიური ობიექტის დათვალიერება. მიწის ზედაპირზე მოძიებული იქნა თიხის მასალა.

  მოსახლებაში გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, განვახორციელეთ სოფლის ტერიტორიაზე გადაბაძეების უბანში ," მერაბ გადაბაძის ოჯახში და მისი საცხოვრისის მიმდებარედ, სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტის, დღევანდელი სიტუაციის დათვალიერება-დაფიქსირება. იკითხება მარნის სავარაუდო ადგილი. ჩვენს მიერ გამოკითხულ იქნა სოფლის მკვიდრი მერაბ გადაბაძე, ჩაწერილი იქნა საინტრესო ისტორია, დაფიქსირებული იქნა რამოდენიმე ქვევრის ფოტო, რომელიც სახცოვრებელი სახლის ეზოშო თვალნათლივ ჩანს.
- ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, ჭელიშის სამონასტრო კომპლექსის დაფიქსირება, სრული სურათის აღწერა. ჭელიშის ღვთისმშობლის

სანახევროდ დანგრეული ეკლესია ამჟამად აღდგენილია.აუცილებელია ტერიტორიაზე განხორციელდეს არქეოლოგიური სამუშაოები. სამსახურის არაერთგზის მოთხოვნისა ვერ მოხერხდა სპეციალისტების დაინტრესება ამ მიმართულებით.

ამჟამად აღდგენილ ტაძარში კვლავ წირვა–ლოცვა აღევლინება . განახლდა სამონასტრო ცხოვრება. გამოიკვეთა ხარვეზები , ნესტის გამო ზიანდება კედლები. რომელიც საფრთხეს უქმნის ტაძარს.

- ველევი–ბეთლევის გზაზე, სოფ. ველევში, სასაფლაოს მიმდებარედ, გზის სამუშაოების მიმდინარეობის დროს, ტრაქტორის მუშაობის პროცესში გამოჩნდა ქვევრი, დაფარული დუღაბის სქელი მასით. ქვევრი იყო დაზიანებული, იქვე მიმობნეული იყო საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების, თიხების ნარჩენები. სოფლის მკვიდრმა ქალბატონმა შენიშნა და აცნობა ჩვენს სამსახურს. სამთავრობო სამსახურების მოწვევის საფუძველზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოვლინებული იქნა არქეოლოგი როლანდ ისაკაძე. მის მიერ მიღებული იქნა საჭირო ზომები აღნიშნულ არქეოლოგიურ ობიექტთან გაკავშირებით.
    - 05.09 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ფიქსაცია–აღრიცხვის, კომპლექსური შესწავლისა და მათი მოვლა–პატრონობის მიზნით სამსახურმა გასვლითი სამუაო განახორციელა ხიდიკრის მიმართულებით. ჩვენს მიერ დათვალიერებული იქნა ხიმში მიდამოებში ადგილი ,,ნასახიზრევის"ანტიკური ხანის დასახლების სავარაუდო ტერიტორია. სადაც მოძიებული იქნა არქეოლოგიური მასალა: თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქვის სამეურნეო იარაღი. მოძიებული მასალა წარმოადგენს საინტერესო ისტორიას ამ ადგილისა. მიძიებული მასალები დაცულია სამსახურის ფონდში(საარქივო მასალა).
    - 14 .09 სამსახურმა მორიგი გასვლა განახორციელა სოფ. ხოტევში დათვალიერებილი იქნა ,, ხოტევის ციხე", დაფიქსირდა მისი ამჟამინდელი მდომარეობა. ციხის შიდა ტერიტორია მთლიანად დაფარულია მცენარეული საფარით. შეინიშნება კედლების შლა, გასაწმენდია ასევე მისასვლელი გზა. აუცილებელია შესაბამისი სამსახურის მოწვევა ძეგლზე არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით.

      ჩვენს მიერ დათვალიერებული იქნა ციხის მიმდებარედ ანტიკური ხანის დასახლების სავარაუდო ტერიტორია. სადაც მოძიებული იქნა არქეოლოგიური მასალა თიხის ჭურჭლის ნატეხები სახით. მოძიებული მასალა წარმოადგენს საინტერესო ისტორიას ამ ადგილისა. მიძიებული მასალები დაცულია სამსახურის ფონდში(საარქივო მასალა).

16.11. მოსახლეობის მომართვის საფუძველზე განხორციელდა გასვლა კდისუბნის მიმართულებით. ეროვნული მნიშვნელობის, ღვთისმშობლის ეკლესიის მიდამოებში გაბნეული, ტაძრის სხვადასხვა ფრაგმენტების მოძიების სამუშაოების ჩატარების შემდგომ, სოფლის ახალგაზრდების დახმარებით კანკელის ქვები ტაძარს დაუბრუნდა .

ტაძარში ჩვენს მიერ ნანახი იქნა ქვის რელიეფი ასომთავრული წარწერით და ჩუქურთმიანი გამოსახულებით. ინფორმაცია ეცნობა მერიას, ეპარქიას. გიორგი ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრს თანამშრომლებმა ახლად აღმოჩენილი რელიეფი მეცნიერული შესწავლის მიძნით ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოინახულეს. სადაც ამჟამად განთავსებულია აღნიშნული არტეფაქტი.

შეხვედრები და ადგილზე გაასვლები განვახორციელეთ მეუფესთან ერად. გადავეცით ტაძრებზე არსებული პრობლემების ნუსხა.

განახლდა ალბომები - ელ, ვერსია. ინტერნეტის საშუალებით სოციალურ სივრცეში ვრცელდება ფოტომასალები, ვიდეომასალები - ვიდეოკლიპები.

აქტიურად მუშაობს, არსებული ფეისბუქგვერდი: ,რაჭა და რაჭის პეიზაჟები' , ,,ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური". რომელიც არის ყოველდღიურად განახლებადი სხვადასხვა სახის ინფორმაციით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი /ქეთევან ბერაძე

დანართი 1

მოგახსენებთრომ,ამბროლაურისკულტურისცენტრის **2023** წლის 12 თვის ბიუჯეტი გეგმით შეადგენს 756220 ლარი ფაქტიურად გაიხარჯა 754053 ლარი.

1	დასახელება	გეგმით	გახარჯულია	ნაშთი
2	*ხარჯები*	*756220*	*754053*	*2167*
2.1	შრომისანაზღაურება	621585	621585	0
2.21	შტატგარეშე	29929	29595	334
2.2.1	პრემია	6000	6000	0
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	9500	9500	0
2.2.3.1	საკანცელარიო, საწერ-სახაზავიქაღალდის, საბუღალტრობლანკების, ბიულეტენების,საკანცელარიო წიგნების და ანალოგიური მასალების შეძენა	2381	2381	0
2.2.3.1	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის ,ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი	1260	1241	12
2.2.3.4	მცირე საოფისე ტექნიკის შეშენა	2000	1996	4
2.2.3.5	ოფისისათვის სანიტარული საგნების შეძენა	3800	3745	55
2.2.3.5	საოფისე ინვენტარის შეძენა	1170	1170	0
2.2.3.8	შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტი	4500	3500	1000
2.2.3.10	კავშირგაბმულობის ხარჯი	5500	5500	0
2.2.3.12	ელექტროენერგიის ხარჯი	7694	7694	0
2.2.3..12	წყლის ხარჯი	758	758	0
2.2.3.12	ბუნებრივი აირი	4751	4756	0

2.2.3.14	ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული	10804	10804	0
2.2.7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმების შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	960	959	1
2.2.8.4	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	8660	8590	70
2.2.10.5	რეკლამის ხარჯი	2210	1995	215
2.2.10.12	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები	9031	9031	0
2.2.10.14	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	2691	2691	0
2.1	არაფინანსური აქტივები	13846	13876	0
2.2.10.5	წარმომადგენლობითი ხარჯი	7190	6686	476

ცენტრის დირექტორი: / თ. დაუშვილი/

მოგახსენებთ რომ,ამბროლაურისკულტურის ცენტრის **2023** წლის 12 თვის საკუთარი შემოსავლები გეგმით შეადგენს 20000 ლარი ფაქტიურად გაიხარჯა 19544 ლარი.

1	დასახელება	გეგმით	გახარჯულია	ნაშთი
2	*ხარჯები*	*20000*	*19544*	*456*
2.1	შრომისანაზღაურება	4100	4100	0
2.21	შტატგარეშე	3930	3820	115
2.2.10.14	სხვადანარჩენი ხარჯი	1000	1000	0
2.1	არაფინანსური აქტივი	3800	3684	116
22.3.14	სამეურნეო ხარჯი	450	447	3
2.2.8.4	ტრანსპორტის ხარჯი	1200	1200	0
2.2.3.12	კომუნალური ხარჯი	1100	1050	50
2.2.10.12	ღონისძიება	500	500	0
2.2.2.1	მივლინება	800	800	0
2.2.3.8	რემონტის ხარჯი	3115	2943	172